“თბილისის “დინამო” მაღალი კლასის გუნდია”

ფრანც ვერერი, მატჩის მთავარი მსაჯი (ავსტრია): ეს იყო ორი ძალზე ძლიერი, ორი სხვადასხვა სტილის მიმდევარი გუნდის შეხვედრა. მიუხედავად უშეღავათო ბრძოლისა, თამაში ძალიან კორექტულად მიმდინარეობდა. დინამოელებიდან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ასათიანმა – ტექნიკურმა, მოაზროვნე მოთამაშემ, რომელიც საუცხოოდ ხედავს მინდორს. იგი ნამდვილი დირიჟორია თავისი ამხანაგებისა. ჩემი აზრით კარგად ითამაშეს მაჩაიძემ, ძოძუაშვილმა და ხურცილავამაც. საერთოდ თბილისის “დინამომ” დიდი შთაბეჭდილება დატოვა. “ტოტენჰემიდან” გამოირჩეოდნენ დაუღალავი კოუტსი და მეკარე ჯენინგსი. მაგრამ, მე ვფიქრობ, ინგლისელებმა ამ მატჩში, როგორც იტყვიან, მთლიანად მაინც არ გახსნეს თავიანთი კარტები.

დასასრულ, მე მინდა მადლობა მოვახსენო მასპინძლებს დიდებული შეხვედრისათვის, მატჩის ბრწყინვალე ორგანიზაციისათვის და წარმატება ვუსურვო მათ განმეორებით შეხვედრაში.

ედი ბეილი, “ტოტენჰემის” მწვრთნელი. ჩვენმა ბიჭებმა მთლიანად ვერ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობები, თუმცა თამაშის ანგარიშით არ შეიძლება უკმაყოფილონი ვიყოთ. მატჩის წინ თქვენს კორესპონდენტს ვუთხარი, თბილისის “დინამოზე” არაფერი ვიცი მეთქი. ახალა შემიძლია განვაცხადო, რომ ესაა მაღალი კლასის გუნდი, თუმცა ამ მატჩში თავისი ძალა მთლიანად ვერ გვიჩვენა. იგრძნობოდა უდიდესი ნერვული დაძაბულობა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ასათიანის თამაშმა. კარგი იყო მაჩაიძეც, თუმცა იგი ერთფეროვნად თამაშობს. მომეწონა ძოძუაშვილი - ტიპიური ბრიტანული სტილის მოთამაშე. მომეწონა ყიფიანიც, საერთოდ ვიმეორებ, “დინამო” მაღალი კლასის გუნდია. რა შეიძლება ითქვას განმეორებით მატჩზე? შანსები თითქმის თანაბარია, მაგრამ ოდნავი უპირატესობა მაინც “ტოტენჰემის” მხარესაა.

პიტერ გლეტჰედი, (ჟურნალისტი, “ივნინგ სტანდარდის” თანამშრომელი); მე მჯერა რომ, მე მჯეროდა რომ ჩემი თანამემამულეები გაიმარჯვებდნენ, მაგრამ თბილისის “დინამოს” ბრწყინვალე თამაშმა ჩემი პროგნოზები თავდაყირა დააყენა. დინამოელებმა დიდი შთაბეჭდილებები მოახდინეს, თუმცა გუნდი ზოგჯერ ნელი ტემპით თამაშობდა. მოთამაშეთა ტექნიკური მომზადების დონე მაღალია. ვისი გამოყოფა შეიძლება თბილისელთაგან? პირველ ყოვლისა ეს შეიძლება ასათიანი, როგორც მითხრეს იგი დაშავებული ყოფილა და ჯერჯერობით მთელი ძალით ვერ თამაშობს. თუ მართლა ასეა, მაშინ ბედნიერი ხალხი ყოფილხართ, გუნდში ასეთი მოთამაშე გყავთ. მაჩაიძესთან ერთად, იგი მრისხანე ძალაა ნებისმიერი მეტოქისთვის.. თავდასხმიდან გამოვყოფდი ყიფიანს, რომელსაც ამ მატჩში, ყველაზე ნაკლებად სწყალობდა ბედი. იგი ტექნიკური, სწრაფი, ფეხბურთელია და აკლია მხოლოდ ამ რანგის მატჩებში თამაშის გამოცდილება. ამასთან, ყიფიანი თავდასხმის ცენტრში გაცილებით უფრო ძლიერია. მომეწონა ძოძუაშვილი – სწრაფი, მკვეთრი სტილის ფეხბურთელი, მომეწონა გუნდის კაპიტანი ხურცილავა. ჩვენი ფეხბურთელებიდან გამოირჩეოდნენ კოუტსი და მეკარე ჯენინგსი.

მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა თბილისელ მაყურებელზე, რომლებმაც უდავოდ იცის კარგი ფეხბურთელის გემო. ერკვევა მის ნიუანსებში, საოცრად თავისებურ გულშემატკივრობას უწევს საკუთარ გუნდს. ასეთი მორიდებული მაყურებელი მსოფლიოს არცერთ სტადიონზე არ მინახავს.

მატჩის ორგანიზაცია უმაღლეს დონეზე იდგა. ჩვენ ჟურნალისტებს არავითარი პრეტენზია არა გვაქვს..

მარტინ პეტერსი, ეს იყო ძალის რთული, ნერვული თამაში და ჩემი აზრით იგი მაყურებლებს მოეწონათ, შეხვედრის შედეგით კმაყოფილი ვარ.

პიტ ჯენინგსი: ასეთ მატჩებში ხშირად თამაშს არ ვისურვებდი. ჩვენ მეკარეებს, ამგვარი ბრძოლა ხშირად გვიხდება. დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ასათიანმა, ჩემმა კოლეგამ დავით გოგიამ და გუნდის კაპიტანმა ხურცილავამ. რომელიც ძალიან ძლიერად ურტყამს.

იმედი მაქვს რომ ლონდონში წარმატებას მოვიპოვებთ.

მარტინ ჩივერსი: "დინამო" მაღალი კლასის გუნდია, შედეგით კმაყოფილი ვარ. ჩემი თამაშით – არა. ლონდონში ვეცდები რეპუტაცია აღვიდგინო.

ივ კოლერი, (ლონდონელი იურისტი). ეს იყო სხვადასხვა სტილის გუნდის ბრწყინვალე თამაში, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ასათიანმა, ძოძუაშვილმა, ხურცილავამ, ყიფიანმა. საერთოდ, თბილისი ძალიან მომეწონა.

პატრიკ ბრუინსი, (ლონდონელი მასწავლებელი), ასეთი თამაშის სანახავად მართლაც ღირდა ლონდონიდან ჩამოსვლა, შედეგით კმაყოფილი ვარ. ლონდონში "ტოტენჰემი" გაიმარჯვებს. დიდ მადლობას მოგახსენებთ სტუმართ- მასპინძლობისათვის.

როჯერ ლოუერი, (სტუდენტი), ბრწყინვალე მოთამაშეა ასათიანი, შედეგით კმაყოფილი ვარ. განმეორებით მატჩში შანსები ჩემი აზრით თანაბარია.

მასალა მოამზადა ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა თ. ჯაფარიძემ

ლელო 04.XII. 1973 წელი.